

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის

ბრძანება № 01-01/15

თბილისი

23 აპრილი 2021 წ.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6. პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის, ასევე შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“ დებულების მე-8 მუხლის, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების კონცეფციის მე-12 მუხლისა და რექტორის 2019 წლის 23 დეკემბრის N01-01/103 ბრძანების შესაბამისად უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ტრენინგ პროგრამების (კურსი, მოდული) დამტკიცების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის „GT-TCC ტრენინგი და კონსალტინგი“ დებულების მე-8 მუხლისა და უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების კონცეფციის მე-12 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს მიერ წარმოდგენილი შემდეგი ტრენინგ კურსები:

1) ტრენინგ კურსი თემაზე - „**შრომის შინაგანაწესისა და შრომის ხელშეკრულების შედგენილს ტექნიკა**“, ტრენინგის ხანგრძლივობა 6 სთ. ტრენერები - სამართლის დოქტორი გთუნი-ს ასოცირებული პროფესორი ნინო ბოჭორიშვილი; სამართლის დოქტორი გთუნი-ს ასოცირებული პროფესორი ლიკა საჯაია (დანართი 1)

2) ტრენინგ კურსი თემაზე - „**შრომის თანაბარი პირობები, დისკრიმინაციის აკრძალვა და სამუშაო დროის აღრიცხვა**“, ტრენინგის ხანგრძლივობა 5 სთ. ტრენერები - სამართლის დოქტორი გთუნი-ს ასოცირებული პროფესორი ნინო ბოჭორიშვილი; სამართლის დოქტორი გთუნი-ს ასოცირებული პროფესორი ლიკა საჯაია (დანართი 2)

3) ტრენინგ კურსი თემაზე - „**პერსონალური მონაცემების დაცვა - საქართველოს კანონდებლობა და ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები**“ ტრენინგის ხანგრძლივობა 5 სთ. ტრენერი - სამართლის დოქტორი გთუნი-ს ასოცირებული პროფესორი ლიკა საჯაია (დანართი 3)

4) ტრენინგ კურსი თემაზე - „**ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალური და უნივერსალური მექანიზმები და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები**“, ტრენინგის ხანგრძლივობა 5 სთ. ტრენერები - სამართლის დოქტორი გთუნი-ს ასოცირებული პროფესორი ნინო ბოჭორიშვილი; (დანართი 4)

5) ტრენინგ კურსი თემაზე - **ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ეროვნული და საერთაშორისო გარანტიები**, ტრენინგის ხანგრძლივობა 5 სთ. ტრენერები - სამართლის დოქტორი გთუნი-ს ასოცირებული პროფესორი ნინო ბოჭორიშვილი; (დანართი 5)

II. დაევალოს კანცელარიას წინამდებარე ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის.

- III. დამტკიცებული ტრენინგ კურსების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.
- IV. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელს.
- V. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დანართი: უწყვეტი განათლების საკოორდინაციო საბჭოს წარდგინება 22 (ოცდაორ) გვერდად.

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის**

**რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი**

**ადმასრულებელი დირექტორი
ელისო ელისაშვილი**